



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კოხეიძე პავლე გერასიმეს ძე



პ. კოხეიძე

კოხეიძე პავლე გერასიმეს ძე (25. VII. 1921, ქ. ხონი, ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი, - 26. VIII. 2016, თბილისი), საქართვ. დამს. ურნალისტი (1971), ლიტერატორი, პუბლიცისტი. 1938-47 სწავლობდა თსუ-ში, ფილოლ. ფაკ-ტბე. 1941-45 მონაწილეობდა II მსოფლიო ომში, 1945-46 იყო ხონის (ყოფ. წულუკიძე) რ-ნის გაზ. „დამკვრელის“ პ/მგ მდივანი, 1946 - „ახალგაზრდა კომუნისტის“ თანამშრომელი, 1948-52 - ამავე გაზეთის რედაქტორის მოადგილე, 1952-53 - „საბჭოთა აქარის“ რედაქტორი, 1953-54 - „კომუნისტის“ ლიტ. და ხელოვნ. განყ-ბის გამგე, 1957 (აგვ.-დეკ.) - „კომუნისტის“ პ/მგ. მდივანი. 1958-74 - გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილე, 1974-83 - „საქართველოს კომუნისტის“ მთ. რედაქტორის მოადგილე, 1983-87 სამეცნ.-საგამომც. განყ-ბის უფრ. 1983-2006 - საარქივო სამმართველოს დოკუმენტური პერიოდული კრებულის, „საისტორიო მოამბისა“ და „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენის“ რედაქტორი.

კ-ს ეკუთვნის ლიტ.-კრიტ. წერილები ქართვ. მწერლების შემოქმედების შესახებ. აქვეყნებდა ევრ. ენებზე არსებულ XIX ს. რუსეთის შიდაცხოვრების ამსახველ ნარკვევებს.

კ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: მარკიზ დე კუსტინი, ნიკოლოზ I რუსეთი, პ. კოხოვიძის წინასიტყვ., თბ., 1990.

ლიტ.: თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე ნ., მრისხანე დღეები, თბ., 1975; თ თ ფ უ რ ი ა ფ., გზა, რომელმაც „თბილისამდე“ მიგვიყვანა, თბ., 2000; ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა ბ.., ნახევარი საუკუნე ქართულ ურნალისტიკაში, „სამშობლო-ფორტე“, 1997, №16; ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე მ., თავმდაბლობით ამაღლებული, „თბილისი“, 1997, №14; ხ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი ა., Победившие спят славе победдённых, „Русский Клуб“, 2015, №5.

**გ- გოგიაშვილი**

---